სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

ბარე ბიოგრაფისგან - პროექტის არქიტექტურული სამუშოები

ტენდერის დაწყების თარიღი: 2026 წლის 26 აგვისტო

ტენდერის დასრულების თარიღი: 2026 წლის 16

სექტემბერი 15:00

დამკვეთი: შპს ,,რივერ ინვესტი''- ს/კ 405637967

ტენდერის დასახელება: ბარეს არქიტექტურული სამუშაოები

1. ტენდერის მასშტაბი

1.1 სამუშაოების აღწერა

ქ თბილისში, ლომოურის ქ. N3 - ში მდებარე - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი "ბარე"-ს არქიტექტურული სამუშაოები. კედლების მოწყობა, იატაკის მოწყობა, სახურავის მოწყობა, ჭერის მოწყობა, კარებების მოწყობა, კიბეების და მოაჯირების მოწყობა, აივნების მოაჯირების მოწყობა.

*არქიტექტურული მოპირკეთების მასალები, როგორიცაა კარებები, კერამოგრანიტის ფილები, ჭერი და სხვა მსგავსი ელემენტები, უნდა შეირჩეს დამკვეთთან შეთანხმებით. შესაბამისად, ტენდერის მიმდინარეობის ეტაპზე აღნიშნული დიზაინერული გადაწყვეტების მიღება არ მოხდება და მათი ღირებულება განფასებაში წარმოდგენილი უნდა იყოს პირობითად/სიმბოლურად.

ობიექტი შედგება : - 1 სართული საპარკინგე სივრცე

0 სართული კომერციული სივრცე

1-4 სართული საცხოვრებელი სივრცე

2. სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება, ადგილზე ვიზიტი, წინასატენდერო შეხვედრა

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების წარდგენამდე უნდა დაგეგმოს ვიზიტი დამკვეთის სამშენებლო ტერიტორიაზე წინასაწარ დამკვეთის საქმეთამწარმოებელთან შეთანხმებით.

საკონტაქტო პირი: გიორგი ჩხაიძე

ტელ. +995 595 77 22 85

ადგილმდებარეობა: ქ თბილისი,ნიკო ლომოურის 3

3. წარმოსადგენი დოკუმენტები:

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- **განფასებული სამუშაოთა უწყისი,** წარმოდგენილი ფორმის მიხედვით.
- **პროექტის განხორციელების ვადები** - კალენდარული გრაფიკი, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველანაირი შემაფერხებელი გარემოებები მათ შორის უამინდობა და დასვენეების დღე.

- ყველა მასალის სპეციფიკაცია- data sheet (მათ შორის ბრენდი, მწარმოებელი ქვეყანა და ა.შ.
- სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგია
- ხელშეკრულების გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა;
- კონტრაქტორის ძირითადი პერსონალის სია, რომლებიც შემოთავაზებულია კონტრაქტისთვის.
- კომპანიის პორტფოლიო (შესრულებული და მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი და შესრულებული სამუშაოები)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (კომპანია რომელიც იღებს ტენდერში მონაწილეობას)
- ბოლო ფისკალური წლის აუდიტირებული ან არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება
- კონტრაქტის ფულადი ნაკადების უწყისი (Cashflow)

4. სატენდერო ფასები

- მონაწილის მიერ მითითებული ფასები უნდა იყოს: ფიქსირებული ხელშეკრულების შესრულების სრულ ვადაზე.
- ფასები და სატენდერო მთლიანი ფასი უნდა მოიცავდეს ყველა გადასახადს, გადასახდელსა თუ სხვა გადასახადებს.

5. სატენდერო და გადახდის ვალუტები

ფასები პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ეროვნულ ვალუტაში.

6. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა

სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა არის სატენდერო წინადადების წარმოდგენიდან 80 დღე.

7. დამკვეთის უფლება მიიღოს და უარყოს ნებისმიერი ტენდერი

დამკვეთს უფლება აქვს ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის დასრულების შემდეგ, უარყოს ან მიიღოს ნებისმიერი წინადადება, რაზეც პრეტენდენტებს შეატყობინებს ყოველგვარი დამატებითი ახნსა-განმარტების გარეშე.

სატენდერო წინადადების დანართი

სამუშაოს დაწყების ვადა	25.09.2026
სამუშაოს დასრულების ვადა	25.12.2026
დეფექტების შეტყობინების პერიოდი	365 დღე
შესრულების უზრუნველყოფის ოდენობა	ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %
სამუშაოების ვადაგადაცილების ზარალი	ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ყოველ დღეზე, როგორც ეტაპის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ასევე საბოლოო დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში. იმ ვალუტებში და პროპორციებში, რომელშიც ხდება *ხელშეკრულების ფასის* გადახდა.
ავანსი	მოლაპარაკების საფუძველზე
საავანსო გარანტია	ავანსის შესაბამისი
ავანსის გაქვითვა	პირველივე შესრულებიდან
უზრუნველყოფის ფორმები	საბანკო გარანტია

8. დამკვეთის მიერ გაზიარებული დოკუმენტები:
ამ პუქტში მოცემულია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელსაც დამკვეთის გადასცემს პრედენტენდებს პროექტის მოთხოვნების შესაფასებლად.

დოკუმენტების ჩამონათვალი:

- სატენდერო დოკუმენტი
- არქიტექტურული პროექტი
- სამუშაოთა უწყისი
- დამკვეთის მიერ სამუშაოების წარმოების მოთხოვნილი მეთოდოლოგია.
- დამკვეთის მიერ მოთხოვნილი გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა.